

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №43

2023 წლის 30 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ III, 33, 31/03/2010 წელი) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების:

ა) 1⁹ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-3, 35-ე, მე-40, 78-ე – 78³, 79-ე – 79³, 133-ე, 134-ე, 136-ე – 141-ე, 146-ე – 149-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისგან თავისუფლდება პირი, თუ იგი ამ მომსახურების გაწევის მოთხოვნით სსიპ – შემოსავლების სამსახურს განცხადებას წარუდგენს ელექტრონული ფორმით ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან.“;

ბ) 1⁹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 142-ე და 143-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისგან თავისუფლდება პირი, თუ იგი ამ მომსახურების გაწევის მოთხოვნით სსიპ – შემოსავლების სამსახურს მიმართავს ვიდეოჩარის ან სსიპ – შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

ა) 37-ე – 39-ე გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„37	ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული შვიდნიშნა კოდის მინიჭება	1 სამუშაო დღე	1 ობიექტზე – 150 ლარი
38	ნავთობპროდუქტების სტაციონარული ობიექტის სარგებლობის ვადის გაგრძელება	1 სამუშაო დღე	1 ობიექტზე – 150 ლარი
39	ნავთობპროდუქტების სტაციონარული ობიექტის	1 სამუშაო დღე	1 ობიექტზე – 150 ლარი“;



ბ) 76-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„76	მატერიალური ფორმის საგადასახადო დეკლარაციის მიღება		1 დეკლარაცია – 100 ლარი“;
-----	--	--	---------------------------

გ) 78-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„78	ფიზიკური პირისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება	1 სამუშაო დღე	50 ლარი“;
-----	---	---------------	-----------

დ) 78-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 78¹ – 78³ გრაფები:

„78 ¹	ფიზიკური პირისათვის მინიჭებული მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმება	1 სამუშაო დღე	50 ლარი
78 ²	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირისათვის გაცემული სერტიფიკატის აღდგენა	1 სამუშაო დღე	50 ლარი
78 ³	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საქმიანობის ცვლილება	1 სამუშაო დღე	50 ლარი“;



ე) 79-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„79	მეწარმე ფიზიკური პირისათვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება	1 სამუშაო დღე	100 ლარი“;
-----	--	---------------------	---------------

ვ) 79-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 79¹ – 79³ გრაფები:

„79 ¹	მეწარმე ფიზიკური პირისათვის მინიჭებული მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება	1 სამუშაო დღე	100 ლარი
79 ²	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირისათვის გაცემული სერტიფიკატის აღდგენა	1 სამუშაო დღე	50 ლარი
79 ³	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის ცვლილება	1 სამუშაო დღე	100 ლარი“;

ზ) 88-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 88¹ გრაფა:

„88 ¹	დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითრის გაცემის სავაჭრო ობიექტების/ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნუსხაში ცვლილება	1 სამუშაო დღე	100 ლარი“;
------------------	---	---------------	------------

თ) 133-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„133	ფიზიკური პირისათვის საკუთარი შემოსავლების შესახებ ცნობის გაცემა	1 სამუშაო დღე	60 ლარი“;
------	---	---------------	-----------



ი) 135-ე გრაფის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის 136-ე – 155-ე გრაფები:

„136	გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ ცნობის გაცემა	1 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღეზე მეტი	50 ლარი 30 ლარი უფასო
137	პირისთვის ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება	1 სამუშაო დღე	50 ლარი
138	ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის გაუქმება	1 სამუშაო დღე	50 ლარი
139	ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერება/განახლება	1 სამუშაო დღე	50 ლარი
140	ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისთვის ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის მისამართის, დასაბეგრი საქმიანობის სახის ან/და ობიექტის რაოდენობის ცვლილება	1 სამუშაო დღე	50 ლარი
141	მეწარმე ფიზიკური პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტა/განახლება	1 სამუშაო დღე	50 ლარი
142	ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოსაყენებელი სახელწოდებისა და პაროლის აღდგენა	1 სამუშაო დღე	50 ლარი
143	ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე დაფიქსირებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის ცვლილება	1 სამუშაო დღე	50 ლარი
144	გაერთიანება, ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნის საგადასახადო აღრიცხვა	1 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	250 ლარი 150 ლარი 100 ლარი
		1 სამუშაო დღე	250 ლარი



145	უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის, მისი მუდმივი დაწესებულების ან მისი მართვის ადგილის გადმოტანის საგადასახადო აღრიცხვა	3 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	150 ლარი 100 ლარი
146	პირის განცხადების საფუძველზე მონაცემების საცხოვრებელი ფართობის გამჭირავებელ პირთა რეესტრში შეტანა		50 ლარი
147	პირის განცხადების საფუძველზე, საცხოვრებელი ფართობის გამჭირავებელ პირთა რეესტრში შეტანილი მონაცემების ცვლილება		50 ლარი
148	პირის განცხადების საფუძველზე, მონაცემების საცხოვრებელი ფართობის გამჭირავებელ პირთა რეესტრიდან ამოღება		50 ლარი
149	საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემასთან დაკავშირებით, ფიქსირებულ სამემოსავლო გადასახადზე გადასვლის მიზნით, განცხადების წარდგენა	1 სამუშაო დღე	50 ლარი
150	საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადების წარდგენა		200 ლარი
151	სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადების წარდგენა		200 ლარი
152	სპეციალური საწარმოს სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადების წარდგენა		200 ლარი
153	ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადების წარდგენა		200 ლარი
154	ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადების წარდგენა		200 ლარი
			200 ლარი.“.



155

ფარმაცევტული საწარმოს სტატუსის მინიჭების თაობაზე
განცხადების წარდგენა

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 20 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

